თვითშეფასების კითხვარი

(ივსება მასწავლებლის მიერ)

1	სასწავლო გარემო					
1.ა.	სკოლაში (მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან) ვამყარებ პოზიტიურ კომუნიკაციას, კეთილგანწყობილ და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობებს	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვცდილობ დავამყარო სკოლაში (მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან) პოზიტიური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული კომუნიკაცია, / კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები; / ვერ ვახერხებ გაკვეთილზე პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას; / არ ვიცი, რა სტრატეგიები/მიდგომები გამოვიყენო ამ მიზნების მისაღწევად.	ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის სკოლაში (მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან) პოზიტიური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული კომუნიკაციის დამყარება; კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება და/ან გაკვეთილზე პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა; / იშვიათად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად; / ზოგჯერ ვაღწევ სასურველ შედეგს.	ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც სკოლაში (მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან) პოზიტიური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული კომუნიკაციის დამყარება; / კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება; გაკვეთილზე პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა; / საკმაოდ ხშირად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად; / უმეტესად ვაღწევ სასურველ შედეგს.	ყოველთვის ვზრუნავ და ჩვეულებრივ კარგად გამომდის (მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან) პოზიტიური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული კომუნიკაციის დამყარება; / კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება და გაკვეთილზე პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა; / ყოველთვის ეფექტურად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად და ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	ვცდილობ გავითვალისწინო მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული, ემოციური და სოციალური პრობლემები					
2	ვთანამშრომლობ მშობლებთან, კოლეგებთან და სპეციალისტებთან, რათა უკეთ გავიგო მოსწავლის საჭიროებები					
3	ვცდილობ შევქმნა ისეთი საკლასო გარემო, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, უკეთ გაიცნონ და იზრუნონ ერთმანეთზე					
4	ვზრუნავ ისეთი საკლასო კულტურის დამკვიდრებაზე, როცა მოსწავლე ცდილობს მაღალი მოთხოვნები წაუყენოს თავს და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე					

5	აქცენტს ვაკეთებ მოსწავლის ძლიერ მხარეებზე, მაგრამ, ამავე დროს, ვაძლევ მას რჩევებს, რა უნდა გააკეთოს ხარვეზების გამოსასწორებლად					
6	ყურადღებით ვუსმენ მოსწავლეს, ვიყენებ აქტიური მოსმენის სტრატეგიებს (ვუსვამ დამაზუსტებელ კითხვებს, ვაჯამებ მოსწავლის ნათქვამს და ა.შ.)					
7	ნათქვამის უკეთ გასაანალიზებლად მოსმენის დროს ყურადღებას ვაქცევ და ვითვალისწინებ მოსწავლის ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას, მიმიკებს და ა.შ. (არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებს)					
8	მოსწავლეებთან საუბრისას ყურადღებას ვაქცევ საკუთარ ლექსიკას, ასევე ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას, მიმიკებს და ა.შ.					
9	მოსწავლეებთან ურთიერთობას ვამყარებ სტერეოტიპებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობების გარეშე					
10	ყველა მოსწავლეს ვუდგები ინდივიდუალურად; ჩემთვის მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის, როგორც პიროვნების, ღირებულება და უნიკალურობა					
11	ხელს ვუწყობ მოსწავლეებს, გაბედულად დასვან კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები					
12	ვფლობ და შესაბამისად ვიყენებ კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების სხვადასხვა სტრატეგიას					

მოსწავლის ქცევა

1	მოსწავლე თანაკლასელთა და მასწავლებლის წინაშე თამამად გამოთქვამს თავის შეხედულებებს, მოსაზრებებს, გამოხატავს გრძნობებსა და დამოკიდებულებებს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ					
2	მოსწავლე ცდილობს თანაკლასელთან თუ მასწავლებელთან წარმოშობილი ნებისმიერი გაუგებრობა მოაგვაროს კონფლიქტის გარეშე, ეფექტური კომუნიკაციის გზით					

3	მოსწავლე პატივისცემით ექცევა გარშემო მყოფებს; უსმენს და პატივს სცემს სხვების მოსაზრებებს, მათ შორის ისეთსაც, რომელსაც არ იზიარებს					
4	მოსწავლე ცდილობს არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება					
5	მოსწავლე ცდილობს, თავიდან აიცილოს კონფლიქტური სიტუაცია, ხოლო უთანხმოების დროს იყენებს კონფლიქტის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებებს					
1.ა თვი თრე ფლ ექსი ა	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით					

1	სასწავლო გარემო					
1.ბ.	უზრუნველვყოფ მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობას, მათ სოციალიზაციას, შემწყნარებლობისა და თანადგომის უნარების განვითარებას	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვზრუნავ მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ) თანასწორუფლებიანობის უზუნველყოფაზე; / არ ვუწყობ ხელს მათ სოციალიზაციას, მათ შორის შემწყნარებლობისა და პროსოციალური ქცევების გამომუშავებას; / არ ვიცი, რა მიდგომები/სტრატეგიები გამოვიყენო ყველა მოსწავლის (მათ შორის სსსმ) თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად / მოსწავლეებში შემწყნარებლობის უნარისა და პროსოციალური ქცევების გამოსამუშავებლად.	ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ) თანასწორუფლებიანობის უზუნველყოფა, / მათი სოციალიზაციის, შემწყნარებლობის უნარისა და პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე ზრუნვა; / იშვიათად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად; / ზოგჯერ ვაღწევ სასურველ შედეგს.	ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ) თანასწორუფლებიანობის უზუნველყოფა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა / მოსწავლეთა სოციალიზაციის, შემწყნარებლობის უნარისა და პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე ზრუნვა; / საკმაოდ ხშირად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად; / უმეტესად ვაღწევ სასურველ შედეგს.	ყოველთვის ვზრუნავ და ჩვეულებრივ კარგად გამომდის მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ) თანასწორუფლებიანობის უზუნველყოფა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა / მოსწავლეთა სოციალიზაციის, შემწყნარებლობის უნარისა და პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე ზრუნვა; / ყოველთვის ეფექტურად ვიყენებ შესაბამის სტრატეგიებს/მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად და ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	პატივს ვცემ თითოეული მოსწავლის რელიგიურ რწმენას და კულტურულ თავისებურებებს					
2	ვგეგმავ ისეთ აქტივობებს, რომ ეთნიკური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულმა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ ერთმანეთის გაცნობა და ურთიერთობის დამყარება					

3	მოსწავლეთა პიროვნულ, კულტურულ, სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას ვიყენებ, როგორც სასწავლო რესურსს					
4	მოსწავლეებს ვასწავლი, თუ როგორ გაითავისონ, რომ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული პოზიცია, ხედვა, დამოკიდებულებები და იდეები					
5	მოსწავლეებს ვუვითარებ მრავალფეროვან გარემოში კომუნიკაციის დამყარების, თანამშრომლობისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარებს					
6	ხელს ვუწყობ თითოეულ მოსწავლეს, მაქსიმალურად წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები					
7	ვცდილობ, ჩემი ყურადღება და კეთილგანწყობა თანაბრად გავუნაწილო ყველა მოსწავლეს, ვიყო ობიექტური და სამართლიანი					
8	ვცდილობ, მოსწავლეებმა აღმიქვან თავიანთ პარტნიორად					
9	ვუბიძგებ მოსწავლეებს, გახდნენ სასწავლო პროცესის თანამონაწილეები, რითაც ხელს ვუწყობ მათში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას					

10	წავახალისებ მოსწავლთა პროსოციალურ ქცევებს, როგორებიცაა: ერთმანეთის მხარდაჭერა, დახმარებისა და თანადგომის აღმოჩენა სხვებისთვის, ერთმანეთზე ზრუნვა და ა.შ.					
11	ხელს ვუწყობ მოსწავლეთა შორის ნდობისა და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რათა მათ არ ეშინოდეთ შეცდომების დაშვების და უხაროდეთ ერთმანეთის წარმატება.					
12	სპეციალისტებთან ერთად ვქმნი სსსმ მოსწავლეზე მორგებულ საკლასო გარემოს					
13	ვცდილობ, დავეხმარო სსსმ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში					
14	ვცდილობ და სხვა მოსწავლეებისგანაც მოვითხოვ, მოექცნენ სსსმ მოსწავლეს, როგორც თანასწორს, არ გამოიჩინონ მის მიმართ გადაჭარბებული ყურადღება და/ან თანაგრძნობა					
	მოსწავლის ქცევა					
1	მოსწავლე თავისუფლად გრძნობს თავს კლასში, არ ეშინია თვითგამოხატვისა და საკუთარი აზრის გამოთქმის					
2	მოსწავლე არც ხაზს უსვამს და არც მალავს თავის რელიგიურ, ეთნიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ სხვა მახასიათებელს					

3	მოსწავლეები არ აქცევენ ზედმეტ ყურადღებას სსსმ მოსწავლეს, ჩვეულებრივად ექცევიან მას	
4	მოსწავლეები მასწავლებელთან და თანაკლასელებთან არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად იღებენ ურთიერთშეთანხმებულ გადაწყვეტილებებს; იზიარებენ პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებების სისწორესა და მათ შესრულებაზე	
5	მოსწავლე ავლენს პატივისცემას და იჩენს მზრუნველობას როგორც თანაკლასელების, ისე მასწავლებლის მიმართ	

1.ბ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	

1	სასწავლო გარემო					
1.ბ.	მოსწავლეთა ჩართულობით უზრუნველვყოფ გაკვეთილზე ქცევის წესების დაცვას	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვცდილობ მოსწავლეთა თანამონაწილეობით ქცევის წესების შემუშავებას, არ ვზრუნავ მოსწავლეებში თვითრეგულირებადი ქცევის გამომუშავებაზე; / არ ვიცი, როგორ შევიმუშავო დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი ქცევის წესები, ჩამოვაყალიბო ინსტრუქციები და უზრუნველვყო მათი დაცვა; / არ ვიცი, რა სტრატეგიები/მიდგომები გამოვიყენო ამ მიზნების მისაღწევად.	ვცდილობ მოსწავლეთა თანამონაწილეობით ქცევის წესების შემუშავებას, მათში თვითრეგულირებადი ქცევის გამომუშავებაზე ზრუნვას, მაგრამ უმეტესად არ გამომდის; / იშვიათად შევიმუშავებ წინასწარ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი ქცევის წესებსა და ინსტრუქციებს, მაგრამ უზრუნველვყოფ მათ დაცვას / ჩვეულებრივ, შევიმუშავებ წინასწარ დაგეგმილი აქტივობების შესაბამის ქცევის წესებსა და ინსტრუქციებს, მაგრამ ვერ უზრუნველვყოფ მათ დაცვას.	ვცდილობ და უმეტესად ვახერხებ კიდეც მოსწავლეთა თანამონაწილეობით ქცევის წესების შემუშავებას, მათში თვითრეგულირებადი ქცევის გამომუშავებაზე ზრუნვას; / ჩვეულებრივ, შევიმუშავებ დაგეგმილი აქტივობების შესაბამის ქცევის წესებსა და ინსტრუქციებს და უმეტეს შემთხვევაში უზრუნველვყოფ მათ დაცვას.	ყოველთვის ვზრუნავ და ჩვეულებრივ კარგად გამომდის მოსწავლეთა თანამონაწილეობით ქცევის წესების შემუშავება, მათში თვითრეგულირებადი ქცევის გამომუშავებაზე ზრუნვა; ყოველთვის შევიმუშავებ დაგეგმილი აქტივობების შესაბამის ქცევის წესებსა და ინსტრუქციებს და უზრუნველვყოფ მათ დაცვას.
	მასწავლებლის ქცევა					
1	მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავებ კლასში ქცევის წესებსა და სანქციებს მათი დარღვევისათვის					
2	გაკვეთილზე ვიყენებ სტრატეგიებს, რათა მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ თვითრეგულირებადი ქცევა					

3	ვცდილობ, მოსწავლეებმა გაითავისონ და დაიცვან კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებული ქცევის წესები					
4	ვცდილობ დაგეგმილი აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, ხოლო აქტივობების მონაცვლეობისას დრო მინიმალურად დაიკარგოს					
5	დროის მენეჯმენტს ვიყენებ ეფექტიანად: წინასწარ მაქვს გაწერილი თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი დრო, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე, შემიძლია მოქნილად ვცვალო იგი					
6	მოსწავლეებს ვაძლევ მკაფიოდ ფორმულირებულ ინსტრუქციებს კომპლექსური, მრავალსაფეხურიანი აქტივობების თითოეული ეტაპისთვის					
7	მოსწავლეებს ვაძლევ მკაფიო მითითებებს დავალებების შესასრულებლად (მაგ., სიტყვიერი, ვიზუალური, ფიზიკური დემონსტრირების გზით)					

მოსწავლის ქცევა

1	მოსწავლე წინასწარ ეცნობა დაგეგმილი აქტივობის შესაბამის წესებს და იცავს მათ					
2	მოსწავლემ კარგად იცის კლასის ორგანიზების ნებისმიერი ფორმის სპეციფიკა/წესები					
3	მოსწავლე არ კარგავს დროს ერთი საგაკვეთილო აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას.					
4	მოსწავლეები ზრუნავენ კლასში ქცევის წესების შემუშვებასა და დაცვაზე					
5	მოსწავლე უსიტყვოდ ხვდება, როდის და რა უნდა გააკეთოს გაკვეთილზე და არ იმსახურებს მასწავლებლის შენიშვნას					
6	მოსწავლეები არიან თვითორგანიზებულნი: გადანაწილებული აქვთ ფუნქციები, უსმენენ ერთმანეთს, განიხილავენ და შეაჯერებენ მოსაზრებებს, ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს და ა.შ.					

1.გ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით		

1	სასწავლო გარემო					
1.დ.	მოვიძიებ, ვაფასებ და ეფექტიანად ვიყენებ სასწავლო რესურსებს; უზრუნველვყოფ, რომ რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისათვის	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	საერთოდ არ ვიყენებ ან არ ვიყენებ სასწავლო რესურსებს ეფექტიანად; ვერ ვახერხებ, რომ რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისთვის; / არ ვფლობ სათანადო მიდგომებს/სტრატეგიებს , რათა შევძლო სასწავლო რესურსების ეფექტიანად გამოყენება.	ვცდილობ ეფექტიანად გამოვიყენო სასწავლო რესურსები, მაგრამ უმეტესად არ გამომდის; / ვცდილობ, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ, რომ რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისთვის; / იშვიათად ვიყენებ ისეთ მიდგომებს/სტრატეგიებს, რომლებიც მეხმარება სასწავლო რესურსის ეფექტიანად გამოყენებაში; / ზოგჯერ ვაღწევ სასურველ შედეგს.	ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც სასწავლო რესურსების ეფექტიანად გამოყენება; / უმეტესად ვახერხებ, რომ სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისათვის; / საკმაოდ ხშირად ვიყენებ ისეთ მიდგომებს/სტრატეგიებს, რომლებიც მეხმარება სასწავლო რესურსის ეფექტიანად გამოყენებაში; / უმეტესად ვაღწევ სასურველ შედეგს.	ყოველთვის ეფექტიანად ვიყენებ სასწავლო რესურსებს; / უზრუნველვყოფ, რომ სასწავლო რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისათვის; / სწორად ვარჩევ და ვიყენებ ისეთ მიდგომებს/სტრატეგიებს, რომლებიც მეხმარება სასწავლო რესურსის ეფექტიანად გამოყენებაში; / ყოველთვის ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	მოვიძიებ და სასწავლო მიზნის შესაბამისად ვახარისხებ სკოლაში და სკოლის გარეთ არსებულ სხვადასხვა სახის რესურსებს					
2	სასწავლო რესურსების შერჩევისას ვითვალისწინებ მოსწავლეთა მზაობას და მათ შესაძლებლობებს					

3	სასწავლო რესურსის შერჩევისას ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენად გაზრდის ეს რესურსი სწავლის მოტივაციას მოსწავლეებში					
4	ნებისმიერი სახის რესურსს ვიყენებ მიზანმიმართულად, რათა მოსწავლეებს გავუადვილო ახალი ინფორმაციის აღქმა და გააზრება					
5	წავახალისებ მოსწავლეების მონაწილეობას რესურსების მოძიებასა და შექმნაში					
6	რესურსებს ვიყენებ დაგეგმილი აქტივობებისა და სასწავლო მიზნის შესაბამისად					
7	მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შევარჩევ და/ან ვქმნი სასწავლო რესურსს					
8	ავეჯის, დანადგარების, ხელსაწყოების, აღჭურვილობის განლაგებას ვუსადაგებ დაგეგმილ აქტივობებს, ასევე მოსწავლეთა საჭიროებებს					

	მოსწავლის ქცევა					
1	მოსწავლე სასწავლო მიზნის შესაბამისად იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს					

2	მოსწავლე ეხმარება მასწავლებელს სასწავლო რესურსის ეფექტურად გამოყენებაში					
3	მოსწავლე აქტიურად, შემოქმედებითად იყენებს ტექნოლოგიებს					
4	მოსწავლე ატარებს ცდას მასწავლებლის დახმარების გარეშე					
5	მოსწავლეები მონაწილეობენ ფიზიკური გარემოს მოწყობაში; ზრუნავენ გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სათანადო და კომფორტული გარემოს შექმნაზე (მაგ., ხურავენ კარს ხმაურის შემთხვევაში, აფარებენ ფარდას, გადააადგილებენ ავეჯს, ორგანიზებულად აბინავებენ სასწავლო მასალებს და ნივთებს, ა.შ.)					
1.დ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით					

2	სასწავლო პროცესის დაგეგმვა					
2.ა	**გაკვეთილს ვგეგმავ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების / შესაძლებლობების გათვალისწინებით**	**0**	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვგეგმავ გაკვეთილს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით/მიზნებით ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით; / არ ვფლობ ცოდნასა და გამოცდილებას ასეთი გაკვეთილის დასაგეგმად.	ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის გაკვეთილის დაგეგმვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით/მიზნებით ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით; / არ ვფლობ საკმარის ცოდნასა და გამოცდილებას ასეთი გაკვეთილის დასაგეგმად.	ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც გაკვეთილის დაგეგმვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით/მიზნებით ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით.	ყოველთვის ვგეგმავ გაკვეთილს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით/მიზნებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და სწავლა-სწავლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რასაც, როგორც წესი, წარმატებით ვართმევ თავს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	წინასწარ ვგეგმავ გაკვეთილს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით					
2	სპეციალისტებთან ერთად ვქმნი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ვმუშაობ მის მიხედვით					

3	გაკვეთილის დაგეგმვისას ვითვალისწინებ გაკვეთილის გეგმის ყველა ძირითად კომპონენტს და მათ შორის არსებულ კავშირებს
4	გაკვეთილის დაგეგმვისას ვითვალისწინებ შიდა და
5	გაკვეთილის მსვლელობისას, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, ადვილად ვახდენ გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირებას
6	სასწავლო მიზნების შემუშავების დროს ვითვალისწინებ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, მათ გამოცდილებას, შესაძლებლობებსა და ინტერესებს
7	მოსწავლეებს ვუხსნი გაკვეთილის / სასწავლო აქტივობის მიზანს და მოსალოდნელ შედეგებს
8	მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ვგეგმავ კლასგარეშე აქტივობებს

	მოსწავლის ქცევა
1	მოსწავლე ჩართულია მთლიან საგაკვეთილო პროცესში და ხალისით ასრულებს დავალებებს, რომლებიც მის ინტერესებზე და საჭიროებებზეა მორგებული
2	მოსწავლე დარწმუნებულია ყველა საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობის სარგებლიანობაში და ხალისით ერთვება მათ შესრულებაში

3	მოსწავლე გააზრებულად ერთვება ამა თუ იმ დავალების შესრულებაში/საკლასო აქტივობაში, რადგან იცის, თუ რა მიზანს ემსახურება ისინი	
4	მოსწავლე აჯამებს გაკვეთილს და აფასებს გაკვეთილის შედეგად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს	

2.ა. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	

2	სასწავლო პროცესის დაგეგმვა					
2.ბ.	ვგეგმავ სასწავლო პროცესს იმგვარად, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვზრუნავ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე და მათ აქტიურად ჩართვაზე საგაკვეთილო პროცესში; / არ ვიცი, რა მეთოდები/სტრატეგიები გამოვიყენო ამ მიზნის მისაღწევად.	ვზრუნავ, მაგრამ უმეტესად ვერ ვახერხებ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურად ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; / იშვიათად ვიყენებ შესაბამის მეთოდებსა და სტრატეგიებს, მაგრამ გამოყენების შემთხვევაში ვაღწევ გარკვეულ შედეგებს.	ვზრუნავ და უმეტესად ვახერხებ კიდეც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურად ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; / სათანადოდ ვიყენებ შესაბამის მეთოდებსა და სტრატეგიებს და უმეტესად ვაღწევ სასურველ შედეგს.	ყოველთვის ვზრუნავ და ვახერხებ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათ აქტიურად ჩართვას საგაკვეთილო პროცესში; / სათანადოდ ვიყენებ შესაბამის მეთოდებსა და სტრატეგიებს და ყოველთვის ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	მოსწავლეებს ვეხმარები, წინასწარ გააცნობიერონ სასწავლო მიზნები, დაინახონ მათი მიღწევის გზები და საბოლოო შედეგი/სარგებელი					
2	წინასწარ ვარჩევ და მოსწავლეებს ვთავაზობ მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვის სასწავლო მასალას, ასევე დამხმარე რესურსებს					

3	ვგეგმავ საკლასო აქტივობებს, რომლებიც გაკვეთილს უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდის მოსწავლეებისთვის					
4	ვგეგმავ ისეთ საკლასო აქტივობებს, რომლებიც მოითხოვს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობასა და ინტერაქციას					
5	მოსწავლეებს ვრთავ სხვადსხვა კლასგარეშე აქტივობებში (მაგ., საგნობრივ წრეებში/კლუბებში, სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებში და სხვ.)					
6	მუდმივად ვცდილობ წავახალისო მოსწავლეთა ინიციატივები					
7	საშუალებას ვაძლევ მოსწავლეებს, თავადაც მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში					
8	წავახალისებ მოსწავლეთა აქტიურობას, შრომისმოყვარეობას, ძალისხმევას მაშინაც კი, როცა კარგ შედეგებს ვერ აღწევენ					

9	მოსწავლეებს ვაძლევ საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზაციის, ასევე არჩევანის გაკეთებისა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვის შესაძლებლობას					
10	თვალყურს ვადევნებ თითოეულ მოსწავლეს - მის წინსვლასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში, რის საფუძველზეც შევარჩევ მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს					
11	მოსწავლეებს ვაძლევ გამოცდილებით სწავლის საშუალებას საკლასო და კლასგარეშე პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის გზით					
12	სწავლასა და რეალურ ცხოვრებას შორის კავშირების დანახვის მიზნით მოსწავლეებს ვრთავ სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობებში.					
13	წავახალისებ მოსწავლეებს, გაუზიარონ სხვებს თავიანთი მიგნებები და დაიცვან საკუთარი შეხედულებები					
	მოსწავლის ქცევა					

1	მოსწავლე აქტიურია მაშინაც კი, როდესაც დავალებები რთულია					
2	მოსწავლე ამჟღავნებს ენთუზიაზმს, ინტერესს, ცდილობს პრობლემების გადაწყვეტას					
3	მოსწავლეები განსაკუთრებული ხალისით ეჭიდებიან რთულ დავალებებს. შესრულების ხარისხიც მაღალია. გაკვეთილი ხალისიანი და დინამიურია					
4	მოსწავლე ცდილობს, დავალებები დამოუკიდებლად და ხარისხიანად შეასრულოს.					
5	მოსწავლე თავად არის ახალი აქტივობის შემოტანის ინიციატორი					
6	მოსწავლე დახმარებისთვის მიმართავს არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ თანაკლასელსაც					
7	მთელი კლასი ჩართულია თანაკლასელის მიერ შესრულებული დავალების განხილვასა და თანმდევ დისკუსიაში					

2.ბ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	

3	სწავლება					
3.ა	მოსწავლეებს მკაფიოდ და გასაგებად გადავცემ ინფორმაციას; ვეხმარები სასწავლო მასალის ათვისებაში	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვფლობ და არ ვიყენებ მასალის მიწოდების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, რათა მოსწავლეებს დავეხმარო ცოდნის სრულფასოვნად ათვისებაში.	ვცდილობ გამოვიყენო მოსწავლეებისთვის მასალის მიწოდების მრავალფეროვანი მეთოდები, ნათლად და გასაგებად გადავცე ინფორმაცია, მაგრამ უმეტესად ვერ უზრუნველვყოფ, რომ მათ სრულყოფილად აითვისონ შესასწავლი მასალა; / ჩემ მიერ გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები არ არის საკმარისად მრავალფეროვანი, რათა მივაღწიო სასურველ შედეგს.	ვიყენებ მოსწავლეებისთვის მასალის მიწოდების სხვადასხვა მეთოდებსა და სტრატეგიებს, ნათლად და გასაგებად გადავცემ მათ ინფორმაციას, რისი საშუალებითაც უმეტეს შემთხვევაში ვაღწევ სასურველ შედეგს, რომ მოსწავლეებმა სრულყოფილად აითვისონ შესასწავლი მასალა.	ვიყენებ მოსწავლეებისთვის მასალის მიწოდების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, ნათლად და გასაგებად გადავცემ მათ ინფორმაციას, რისი საშუალებითაც, როგორც წესი, ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	მასალის/ინფორმაციის მიწოდების დროს მოსწავლეებთან ვამყარებ ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციას: ვესაუბრები მათთვის გასაგები ენით, ვუსმენ და ვითვალისწინებ მათ მოსაზრებებს, არგუმენტებს/კონტრარგუმენტებს, საუბრისას ვირჩევ შესაბამის ინტონაციას, საჭიროებისამებრ ვცვლი საუბრის ტემპს და ა.შ.					

2	მასალის ახსნისას ყურადღებას ვამახვილებ მნიშვნელოვან საკითხებზე/თემებზე, ძირითად იდეებზე, რათა დავეხმარო მოსწავლეებს, უკეთ აღიქვან და დაიმახსოვრონ ინფორმაცია					
3	განვიხილავ განსხვავებულ მოსაზრებებს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით					
4	მოსწავლეებს თავს არ ვახვევ არც საკუთარ და არც აღიარებულ / სტერეოტიპულ მოსაზრებებს					
5	ახალი ცნებების/ტერმინების ახსნისას მომყავს სხვადასხვა მაგალითები, მოსწავლეებს ვაძლევ საშუალებას, განსხვავებულ კონტექსტში გაიაზრონ ისინი					
6	ვგეგმავ და ვახორციელებ სხვადასხვა საკლასო აქტივობებს ახალი მასალის მიწოდებისა და მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით					
7	ვეხმარები მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალ ცოდნასთან დაკავშირებაში					
8	ვცდილობ მოსწავლეებმა გაითავისონ ის, რასაც ვასწავლი და გამოიყენონ ნასწავლი რეალურ ცხოვრებაში					

9	მასალის ახსნის დროს ვიყენებ როგორც შიდასაგნობრივ, ისე საგანთა შორის კავშირებს; ვეხმარები მოსწავლეებს, თავად დააკავშირონ საკითხები ერთმანეთთან					
10	ვიყენებ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ფორმას (მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თვალსაჩინოებებს და ა.შ.)					
11	ვამუშავებ შინაარსს მრავალგვარად, რათა მასალა გახდეს უფრო ადვილად აღსაქმელი, საინტერესო და დასამახსოვრებელი მოსწავლეებისთვის					
12	სწავლებისას ვიყენებ მოდელირების მეთოდს (მოსწავლეებს ვთავაზობ მოდელს (ნიმუშს) და ვთხოვ მის მიხედვით დავალების შესრულებას)					
13	მოსწავლეებს წინასწარ ვაცნობ იმ მნიშვნელოვანი ცნებებისა და ტერმინების მნიშვნელობას, რომლებიც საჭიროა სასწავლო საკითხის სრულფასოვნად გასაგებად					
14	საკითხის სწავლების დროს ვიყენებ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ მრავალფეროვან ინფორმაციას					

15	ვიყენებ ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა მეთოდს (მათ შორის, გრაფიკულ მაორგანიზებლებს)					
	მოსწავლის ქცევა					
1	მოსწავლე თანაკლასელებს გადასცემს საგაკვეთილო მასალის შინაარსს, უხსნის კონკრეტულ საკითხს, რითაც თავისი წვლილი შეაქვს სასწავლო მასალის განმარტებასა და დაზუსტებაში					
2	მოსწავლე სწორად იყენებს აკადემიურ ტერმინებს (ლექსიკას)					
3	მოსწავლე ახალ ცნებას/ტერმინს განუმარტავს თანაკლასელებს					
4	მოსწავლე აკეთებს აღმოჩენას, ახსნას უძებნის მოვლენას, რომელიც აქამდე არ ესმოდა					
5	მოსწავლეს მოჰყავს სათანადო მაგალითები და მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში					

3.ა თვით რეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	

3	სწავლება					
3..ბ	ვიყენებ სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განმავითარებელ მრავალფეროვან სტრატეგიებს.	0	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვზრუნავ მოსწავლეთა სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითარებაზე; / არ ვფლობ სწავლისა და სწავლების სათანადო სტრატეგიებს, რათა ვიზრუნო ამ უნარების განვითარებაზე; / ვერ ვაღწევ სასურველ შედეგს.	ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის სწავლისა და სწავლების ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეებში სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას; / იშვიათად ვიყენებ სწავლისა და სწავლების ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითრებას მოსწავლეებში, თუმცა ვაღწევ გარკვეულ შედეგს.	ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც სწავლისა და სწავლების ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას მოსწავლეებში; / ჩვეულებრივ ვიყენებ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას მოსწავლეებში და უმეტეს შემთხვევაში ვაღწევ სასურველ შედეგს.	ყოველთვის ეფექტურად ვიყენებ სწავლისა და სწავლების სტრატეგიებს მოსწავლეებში სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განსავითარებლად და როგორც წესი ვაღწევ სასურველ შედეგს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ვიყენებ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას					

2	სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, ვიყენებ სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განვითარებაზე მორგებულ შეკითხვებს					
3	მოსწავლეებს ვუსვამ შეკითხვებს და/ან ვთავაზობ პრობლემურ საკითხებს, რითაც ხელს ვუწყობ მათ ჩართვას კამათში თუ აქტიურ დისკუსიაში					
4	მოსწავლეებს რეგულარულად ვაძლევ საკლასო და საშინაო დავალებებს, რომლებიც ეხმარება მათ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების (დახარისხება, ლოგიკური კავშირების დანახვა) უნარების განვითარებაში					
5	ვიყენებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნებას; ვუბიძგებ მათ, იმსჯელონ ლოგიკურად და არგუმენტირებულად, კრიტიკულად შეაფასონ როგორც სხვების, ისე საკუთარი აზრები და შეხედულებები, გამოიტანონ სათანადო დასკვნები					
6	ვიყენებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, განუვითარდეთ წარმოსახვითი და შემოქმედებითი აზროვნება					

7	ვიყენებ სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის განსხვავებულ სიტუაციებში გამოყენების (ტრანსფერის) უნარის განვითარებაში					
8	მოსწავლეებს ვთხოვ, რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნის ერთამენთთან დაკავშირების გზით ააგონ ახალი ცოდნა					
9	მოსწავლეებს ვასწავლი სამუშაოს დაგეგმვას, ვუვითარებ საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვებისა და თვითშეფასების უნარებს					
10	მოსწავლეებს ვაცნობ სწავლის სხვადასხვა ხერხს, რომელთა გამოყენებაც დაეხმარება მათ ინდივიდუალური მიდგომების გამომუშავებაში					
11	მოსწავლეებს ვასწავლი ხმამაღლა ფიქრის სტარტეგიებს, რაც ეხმარება მათ საარზოვნო პროცესების					
	მოსწავლის ქცევა					
1	მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს, წამოსწევენ სხვადასხვა პრობლემურ საკითხს; ისინი ერთმანეთს უბიძგებენ აზროვნებისა და მსჯელობისაკენ					

2	მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვები ემსახურება საკითხის სიღრმისეულად გააზრებას					
3	მოსწავლეები თავად აწყობენ დისკუსიას; ისინი მსჯელობენ არგუმენტირებულად და აღწევენ მიზანს - აჯამებენ საკითხს, გამოაქვთ დასკვნები					
4	მოსწავლე თანაკლასელს სთხოვს დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება, აჯამებს დისკუსიის შედეგებს და უზიარებს დანარჩენებს					
3.ბ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით					

4	სწავლების დროს შეფასების გამოყენება					
4.ა.	**მოსწავლეთა შეფასების მიზნით ვქმნი და ვიყენებ შესაბამის ინსტრუმენტებს**	**0**	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	**იშვიათად ან საერთოდ არ/ვერ ვიყენებ სწავლების დროს შეფასებას; / არ ვიცი შეფასების ინსტრუმენტის შექმნა და ამიტომ ვერ ვახერხებ მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად შეფასებას.**	**ვცდილობ, მაგრამ სათანადოდ ვერ ვახერხებ სწავლების დროს შეფასების გამოყენებას; / ვქმნი და ვიყენებ შეფასების ინსტრუმენტებს, მაგრამ სათანადოდ ვერ უზრუნველვყოფ მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად შეფასებას.**	**ვცდილობ და უმეტესად გამომდის კიდეც სწავლების დროს შეფასების გამოყენება; / ვქმნი და ვიყენებ შეფასების ინსტრუმენტებს, შედეგად თითქმის ყოველთვის უზრუნველვყოფ მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად შეფასებას.**	**ყოველთვის ვზრუნავ და კარგად გამომდის სწავლების დროს შეფასების გამოყენება; / ვქმნი და საჭიროებისამებრ ვიყენებ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებიც ყოველთვის მაძლევს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად შეფასების საშუალებას.**
	მასწავლებლის ქცევა					
1	მოსწავლეებს ვაცნობ და/ან ვრთავ შეფასების ინსტრუმენტების (კრიტერიუმებისა და რუბრიკების) შემუშავების პროცესში					
2	მოსწავლეებს ვუხსნი, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი ნამუშევარი (ვაცნობ შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, ხარისხიანი ნამუშევრის ნიმუშს და სხვ.)					
3	ყველა დაინტერესებულ პირს (მშობლებს, კოლეგებს, სხვ.) ვაწვდი ინფორმაციას, თუ რა ტიპის შეფასებას მივმართავ, რა ვადებში, ასევე რა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით					
4	ეროვნული მიზნებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ვირჩევ შეფასების შესაბამის სტრატეგიებს სსსმ მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად					
	მოსწავლის ქცევა					
1	მოსწავლე ზედმიწევნით კარგად იცნობს შეფასების ინსტრუმენტებს.					
2	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ქმნიან და სრულყოფენ შეფასების ინსტრუმენტებს					

3	მოსწავლე იმდენად კარგად იცნობს შეფასების ინსტრუმენტს, რომ შეუძლია შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე აღმოაჩინოს უზუსტობა შეფასებაში და გამოთქვას პრეტენზია, ან მიიღოს დამატებითი განმარტებები					
4	მოსწავლეები შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით თავად აფასებენ შესრულებულ სამუშაოს და ცდილობენ მის სრულყოფას					

4.ა. თვით რეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	

4	სწავლების დროს შეფასების გამოყენება					
4.ბ	**მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად და მათი მიღწევების შესაფასებლად ვიყენებ მრავალფეროვან სტრატეგიებს; მოსწავლეებს რეგულარულად ვაწვდი უკუკავშირს**	**0**	1	2	3	4
		არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას (პასუხი განმარტეთ თვითრეფლექსიის ველში)	არ ვიცი, როგორ და რა შემთხვევაში გამოვიყენო შეფასების სხვადასხვა ფორმები; / არასდროს ვაძლევ მოსწავლეებს უკუკავშირს.	ვფლობ გარკვეულ ცოდნას შეფასების სხვადასხვა ფორმების შესახებ, მაგრამ ხშირად სათანადოდო ვერ ვიყენებ მათ პრაქტიკაში; / მოსწავლეებს არარეგულარულად ვაძლევ უკუკავშირს.	ვერკვევი შეფასების სხვადასხვა ფორმებში და უმეტესად წარმატებით ვიყენებ მათ პრაქტიკაში; / თითქმის ყოველთვის ვაძლევ მოსწავლეებს უკუკავშირს.	კარგად ვერკვევი შეფასების სხვადასხვა ფორმებში, რომლებსაც, როგორც წესი, წარმატებით ვიყენებ პრაქტიკაში; / სისტემატურად ვაძლევ მოსწავლეებს უკუკავშირს.
	მასწავლებლის ქცევა					
1	სწავლის პროცესში გამოვყოფ მნიშვნელოვან ეტაპებს, განვსაზღვრავ თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგებს და მიზნის შესაბამისად ვარჩევ შეფასების ფორმებსა და მეთოდებს					
2	მოსწავლეებს ვეხმარები გაიაზრონ, რას ველი მათგან და ვთავაზობ გზებს ამ მიზნების მისაღწევად					

3	მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად ვიყენებ შეფასების სხვადასხვა მეთოდს (გამოკითხვა, პრეზენტაცია, კითხვების დასმა, სხვ.)					
4	მოსწავლეებს ვეხმარები სწავლის პროცესის დაგეგმვის, მასზე დაკვირვებისა და თვითშეფასების უნარების განვითარებაში					
5	მოსწავლეებს ვასწავლი ურთიერთშეფასების გამოყენებას, რათა ამ გზით შეძლონ ერთმანეთის დახმარება სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში					
6	მოსწავლეებს ვაძლევ საშინაო დავალებებს, რომლებიც დამოუკიდებელი სწავლისა და მიღწეული შედეგის შეფასების გზით ეხმარება მათ სწავლის პროცესის დახვეწაში					
7	შემაჯამებელი შეფასება ზედმიწევნით შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს					
8	ვაანალიზებ შემაჯამებელი სამუშაოს შედეგებს და მოსწავლეთა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად ვგეგმავ შესაბამის აქტივობებს					

9	მოსწავლეებისგან, მშობლებისგან და კოლეგებისგან მოვიპოვებ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევების, მათი წინსვლის, სასწავლო ჩვევებისა თუ საჭიროებების შესახებ					
10	ვიცი და ვიყენებ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სტრატეგიას					
11	მუდმივად ვაკვირდები (ვუწევ მონიტორინგს) მოსწავლეთა სწავლის პროცესს, ვაფასებ მათ წინსვლას და ვაწვდი უკუკავშირს, საჭიროების შემთხვევაში კი - შემაქვს ცვლილებები სასწავლო კურსში					
12	მოსწავლეებს ვაძლევ დროულ, მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს, რათა მათ შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების გაღრმავება					
13	გარეგანი მოტივაციის ასამაღლებლად ვაქებ და/ან წავახალისებ მოსწავლეს, როცა ის ამას იმსახურებს; ამავდროულად, ვარ კონსტრუქციული სხვა მოსწავლეების მიმართ					
	მოსწავლის ქცევა					

1	მოსწავლეები იღებენ კონკრეტულ, ზუსტ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს მასწავლებლისგან					
2	მოსწავლე მასწავლებლის უკუკავშირს (განმავითარებელ შეფასებას, რეკომენდაციებს, კომენტარებს) იყენებს საკუთარ პროგრესზე დაკვირვებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით					
3	მოსწავლე თანაკლასელებისგან იღებს კონკრეტულ და ამომწურავ უკუკავშირს, რომლებიც მას სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში ეხმარება					

4.ბ. თვითრეფლექსია	ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით	